# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა # 15-03/02-04

ქ.თბილისი 26 თებერვალი, 2021 წელი

ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის 4.6 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის # 322 დადგენილების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის #01-227/ო ბრძანების პირველი და მე-10 დანართების შესაბამისად,


SCIENTIA · LABOR · LIBERTAS

ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲒᲠᲐᲠᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ა(ა)იპ
კახა ბენდუქიძის კამპუსი
დავით აღმაშენებლის ხეივანი #240, 0159,
თბილისი, საქართველო

AGRICULTURAL UNIVERSITY OF GEORGIA

NNLE
Kakha Bendukidze Campus
#240 David Aghmashenebeli Alley, 0159, Tbilisi, Georgia

+(995 32) 2 200 901
info@agruni.edu.ge
www.agruni.edu.ge


## ვბრძანებ:

1. სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფები.

2. მონიტორინგის ჯგუფებმა პერიოდულად განახორციელონ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შენობის - ღია სივრცეებში, ეზოებში, კორიდორებში და აუდიტორიებში მონიტორინგი არსებული COVID - რეგულაციების შესრულებაზე.

3. უნივერსიტეტის A კორპუსის ღია სივრცეებში, შიდა ეზოებში და კაფეტერიაში COVID - რეგულაციების დაცვის პერიოდული მონიტორინგი განახორციელონ:

3.1. შალვა თავაძე;
3.2. ნინო კაჭარავა;
3.3. თამარ ზასეევი.

4. უნივერსიტეტის B კორპუსის კულინარიის აკადემიის სივრცეებში COVID - რეგულაციების დაცვის პერიოდული მონიტორინგი განახორციელოს ანა ფხალაძემ.

5. უნივერსიტეტის B კორპუსის თავისუფალი მეცნიერებების პროგრამის განხორციელების ლოკაციის სივრცეებში COVID - რეგულაციების დაცვის პერიოდული მონიტორინგი განახორციელოს მაგდანა ქობალიამ.

6. აუდიტორიებში და ლაბორატორიებში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას COVID - რეგულაციების დაცვა უზრუნველყოს ლექტორმა, რომელიც ატარებს მეცადინეობას.

7. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის კანცლერს ალექსანდრე კაჭარავას.

8. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

რექტორი ვახტანგ ლეჟავა